სსკგ-ს თავმჯდომარემ არაბული ქვეყნების ლიგის გენერალური მდივნის მოადგილესთან შეხვედრა გამართა

2021 წლის 3 სექტემბერს მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ილარიონი არაბული ქვეყნების ლიგის (აქლ) გენერალური მდივნის მოადგილეს ჰუსამ ზაკს შეხვდა.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს მოსკოვში აქლ-ის წარმომადგენლობის მეთაურმა ჯაბერ ჰაბიბ ჯაბერ ჰამიდავიმ, მისმა მოადგილემ მალექ მუსლიმ და აქლ-ის ინფორმაციული სექტორის თანამშრომელმა ფ. რ. რამაზანოვამ. სსკგ-ს მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობდნენ საგარეო საქმეთა მდივანი დეკანოზი სერგი ზვონარიოვი და რელიგიათაშორისი ურთიერთობების საკითხების მდივანი მღვდელი დიმიტრი საფონოვი.

მიტროპოლიტი ილარიონი მიესალმა უმაღლესი რანგის სტუმარს და მის თანმხლებ პირებს სინოდალურ დაწესებულებაში, რომელიც რუსეთის მართლამადიდებელი ეკლესიის საერთაშორისო ურთიერთობებზეა პასუხისმგებელი.

მწყემსთმთავარმა ისაუბრა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქ კირილეს სსკგ-ს ორი ათწლეულის თავმჯდომარეობაზე, რომელმაც თანამედროვე საგარეო საეკლესიო საქმიანობის მრავალ მიმართულებას ჩაუყარა საფუძველი. შემდგომ საუბარში საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ გაიხსენა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის კონტაქტი „ალ-აზჰარის“ უნივერსიტეტთან, მოსკოვის საპატრიარქოს მღვდელთმთავრების შეხვედრები ამ სასწავლებლის ხელმძღვანელობასთან. შეხვედრის მონაწილეებმა ასევე განიხილეს რელიგიათაშორისი დიალოგის ვითარება და პერსპექტივები, ასეთი დიალოგის კულტურა, საფრთხეები ექსტრემიზმისა და ტერორიზმის მხრიდან, რომელსაც ახლა ეჯახება რელიგიური საზოგადოება.

იერარქმა ისაუბრა რელიგიათაშორის მშვიდობასა და თანხმობაზე მრავალეროვნულ რუსეთში. როგორც მწყემსთმთავარმა აღნიშნა, ტერორიზმი და ექსტრემიზმი მთელი კაცობრიობის გამოწვევას წარმოადგენს.

მხარეებმა თანამოაზრეობა გამოავლინეს ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში ადგილობრივი მოსახლეობის თავისი წინაპრების მიწაზე შენარჩუნების აუცილებლობის საკითხში, რისთვისაც აღნიშნეს, რომ აუცილებელია რეგიონში უსაფრთხოების, პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილირობის განმტკიცება.

შეხვედრის დასასრულს სსკგ-ს თავმჯდომარემ მზადყოფნა გამოხატა არაბული ქვეყნების ლიგასთან თანამშრომლობის განვითარებისთვის იმ მიმართულებებით, რომლებიც ეხება საერთო ინტერესებს. გამომშვიდობებისას მიტროპოლიტმა ილარიონმა ასევე არაბული ქვეყნების ლიგის გენერალური მდივნის მოადგილეს სამახსოვრო საჩუქარი გადასცა.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87953/